



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 223
29/01/2018

ქალაქი ბათუმი

223-05-4-201801291501



გიორგი ბერიძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების უფროსის დროებით შემცვლელის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მივლინების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტებისა და გიორგი ბერიძის 2018 წლის 24 იანვრის №195-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. გიორგი ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების უფროსის დროებით შემცვლელი მივლინებული იქნეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, 2018 წლის 30 იანვარს, აპელანტ სანდრო ჭანიძის სააპელაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

2. ქ. ქუთაისში გადაადგილება მოხდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა „მიცუბიში აუთლენდერი“ სახელმწიფო ნომრით IJL-101 და გამოეყოს 45 ლიტრი ბენზინის საწვავი.

3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - საფინანსო-საბიუჯეტო (ტ. ნაკაშიძე) და ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების (მ. კვირიტიძე) სამსახურებს, უზრუნველყონ სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება და საწვავის გამოყოფა.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა